ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 19/ę

ქ. ხობი 2 მაისი 2011 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შესყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N 33030862, ს.ს „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გამგებლის იგორ ტყებუჩავას სახით

მეორეს მხრივ ი/მ "ზორის ქირია" (შემდგომში მიმწოდებელი) მისამართი ქ. ხობი გოგებაშვილის ქ. N1, ტელ: 898276256, საიდ. კოდი 58001015985; ანგარიშის N36080896 ; ს/ს „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465 ; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ზორის ქირიას სახით

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია : საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N201 განკარგულების („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ") საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

საგვიჩიოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის, საგვიჩიოს მე-3 უბნის სტადიონის კეთილმოწყობის , ქვემო ქვალონში გიმოზგონჯილის უბანში ი. ვეკუას ქ. წყალსადენის მოწყობის, ქვ. ქვალონში ვ. ფშაველას ქუჩაზე N1 და N23 ხიდების რეაბილიაციის, ქვემო ქვალონში გვიმარონის უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდის, ქვემო ქვალონში ბულიშის უბანსი ავტომოსაცდელის მოწყობის, ქვემო ქვალონში ბულიშის უბანში გზების შეკეთების, ქვემო ქვალონში დურღუნას უბნის ავტომოსაცდელის მოწყობის, ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში სასაფლაოს ქუჩის მოხრეშვის, ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში დუმბაძის ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაციის, ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში ქარჩავას ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაციის , ქვემო ქვალონში ჭითაუშქურის უბანში ჭაბურღილების მოწყობის, პატარა ფოთში შიდა გზების მოხრეშვის, პატარა ფოთში II უბანში არხის ამოწმენდის, პატარა ფოთში III უბანში არხის ამოწმენდის, პატარა ფოთში I უბანში სტადიონის განათების, პატარა ფოთში შავღელეს უბანში შიდა გზების რემონტის, გურიფულის I გურიფული მინი სტადიონის მოწყობის, II გურიფულის სტადიონის კეთილმოწყობის , II გურიფულის სასაფლაოს კეთილ მოწყობის , II გურიფულის სანიაღვრე არხის ამოწმენდის, ახალსოფელში ცენტრალური გზის ორმული შეკეთების, ახალსოფელში გალმა I ხორგის გზის მოხრეშვის , ჭალადიდში საბაჟოს უბანში საბაჟოს უბნის გზის მოხრეშვის, ჭალადიდში საბაჟოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის, ჭალადიდში

საღვამაჩიოს უბნის სანიაღვრე არხის მოწყობის, ჭალადიდში საღვამაჩიოს უბნის გზის ორმული შეკეთების და ჭალადიდში საჭოჭუოს უბნის გზის შეკეთების საროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. ხელშეკრულების ღირებულება.

3.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, ანუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს **9006.00 (ცხრა ათას ექვსი ლარი)** ლარს.

აქედან: 1. საგვიჩიოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობა– 272ლ-, 2. საგვიჩიოს მე-3 უბნის სტადიონის კეთილმოწყობა–250ლ , 3. ქვემო ქვალონში გიმოზგონჯილის უბანში ი. ვეკუას ქ. წყალსადენის მოწყობა–161 ლ 4. ქვ. ქვალონში ვ. ფშაველას ქუჩაზე N1 და N2 ხიდების რეაბილიაცია–317ლ. ქვემო ქვალონში გვიმარონის უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდა–443 ლ, 6.ქვემო ქვალონში ბულიშის უბანში ავტომოსაცდელის მოწყობა–157ლ 7. ქვემო ქვალონში ბულიშის უბანში გზების შეკეთება–161ლ, 8. ქვემო ქვალონში დურღუნას უბნის ავტომოსაცდელის მოწყობა157ლ, 9.ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში სასაფლაოს ქუჩის მოხრეშვა–326ლ 10. ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში დუმბაძის ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაცია–192ლ, 11.ქვემო ქვალონში დურღუნას უბანში ქარჩავას ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაცია–201ლ , 12.ქვემო ქვალონში ჭითაუმქურის უბანში ჭაბურღილების მოწყობა–305, 13.პატარა ფოთში შიდა გზების მოხრეშვა–341 ლ, 14.პატარა ფოთში II უბანში არხის ამოწმენდა–539ლ, 15.პატარა ფოთში III უბანში არხის ამოწმენდა–145ლ, 16.პატარა ფოთში I უბანში სტადიონის განათება-113ლ, 17.პატარა ფოთში შავღელეს უბანში შიდა გზების რემონტი–851ლ, 18. გურიფულის I გურიფული მინი სტადიონის მოწყობა–463ლ, 19. II გურიფულის სტადიონის კეთილმოწყობა–247ლ . 20. II გურიფულის სასაფლაოს კეთილ მოწყობის–48ლ , 21. II გურიფულის სანიაღვრე არხის ამოწმენდა–188ლ, 22.ახალსოფელში ცენტრალური გზის ორმული შეკეთება–562ლ, 23.ახალსოფელში გაღმა I ხორგის გზის მოხრეშვა–589ლ , 24.ჭალადიდში საბაჟოს უბანში საბაჟოს უბნის გზის მოხრეშვა–906ლ, 25.ჭალადიდში საბაჟოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობ–322ლ ,26. ჭალადიდში საღვამაჩიოს უბნის სანიაღვრე არხის მოწყობა–65ლ, 27.ჭალადიდში საღვამაჩიოს უბნის გზის ორმული შეკეთება–244ლ 28. ჭალადიდში საჭოჭუოს უბნის გზის შეკეთება–441ლ

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდეს მისთვის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

4.2 თუ მიმწოდებლის მიერ შედგენილმა პროექტმა სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას ან სამუშაოს დასრულების შემდეგ გამოავლინა დეფექტები, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს სრულად ყველა მიყენებული ზარალი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები წუნდების მიზეზის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.
6.2 ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.3 შესყიდვის წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
7.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი, ანფარიშ-ფაქტურა ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1 ამ ქვეპუნქტით ხობის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტირის განვითარების სამსახური ვალდებულია მიმწოდებელს უადასცეს საპროექტო დავალება.
8.1.2 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
8.1.3 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დ ადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.
8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
8.2.3 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით შეადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და გადასცეს შემსყიდველს.
8.3.2 დროულად აცნობოს შემსყიდველს მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზის ან ნაკლის შესახებ, რათა უკანასკნელს მიეცეს შესაძლებლობა უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას იგი.

8.3.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

8.3.4 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

8.3.5. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

8.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ფასები

10.1 შესყიდვის ობიექტის ფასების შეცვლა შესაძლებელია ქვემოთჩამოთვლილ შემთხვევებში:

- ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;
- საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

10.2 ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ

გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით და დამტკიცებული ვადის დარღვევისათვის ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.3 %-ის ოდენობით.

14.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

14.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

15.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

18.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

18.218.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს :

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან –

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ი.ბუკია

მიმწოდებელი ორგანიზაციის მხრიდან – ბ.ქირია

18.3 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

18.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელსეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

18.5 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს შემსყიდველს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2011 წლის 11 მაისის ჩათვლით.

20 . დასკვნითი დებულებანი

20.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

20.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

20.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

20.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

20.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

20.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

21. მხარეთა ხელმოწერები:

საფუძველი: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის ი. ბუკიას წერილი N422 28.04.2011 წ

ხელისმოწერა და ბეჭედი

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ი. ბუკია-
2. საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დ. ჭოჭუა-
3. მთ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ბ. შონია-

ხობის მუნიციპალიტეტის

გამგებელი

იგორ ტყემუშავა

ინდივიდუალური მეწარმე

ბორის ქირია